მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2022 წელი, №7

ჩემს ძვირფასს მეცხოვრებლებს და მუნიციპალიტეტის ყველა თემში მცხოვრებს მოცხლოობას დიდი სიყვარულით და სულიერებით ვულოცავ ახალი, 2023 წლის მობრძანებას.

გასული რთული წლების, პანდემიის და ცხვა ჭრილობიმების შემდეგ, დადგა დრო, იცოდეთ იმედიანად, ახალი შემოქმედებით, ლოცვით და შრომით, ფრთიერთთანხლებომით, იცოდეთ გვიმართოთ წელში და ერთად ვაშენოთ ნათელი მომავალი.

ვინატრებდი თითოეულ ოჯახს იგრძნოს ამ ახალი წლის სიყვითე და ყველას ახლოდის ჩათვიჯრებული სურვილები.

მშვიდობის, ერთობის, გაძლიერების, სიხარულის წელი ყოფილიყოს 2023 წელი.

გილოცავთ ყველას.

პატივისცემით, მესტიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის გაუჩ ჩაჩილოლანის ანგარიში 2022 წელი

ძვირფასო მესტიის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებო, ჩემო სვანებო, მოგესალმებით ყველას.

ვსარგებლობ შემთხვევით და გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, ზაი ყერი მცაადი, ხოჩა ზაისუ ჯიცაადიხ.

მოგეხსენებათ, რომ ყოველი ადამიანი განსაკუთრებული მოლოდინით და უკეთესობისაკენ ცვლილების იმედით ხვდება ახალ წელს.

ვისურვებდი, რომ 2023 წელი ჯანმრთელობის, ეკონომიკური წინსვლის და წარმატებების ყოფილიყოს.

სურვილებთან ერთად თუ ყველა ოჯახი, ყველა სოფელი, მთლიანად მუნიციპალიტეტი და სრულიად სვანეთი, ჩვენს ქვეყანასთან მჭიდრო საქმიანობით, მომავალი წლის სწორად დაგეგმვასთან ერთად შრომასაც მივაყოლებთ ჩვენი წინსვლისთვის, როგორც დიდი შოთა რუსთაველი იტყოდა:

რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს,

მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;

- ეს უეჭველად გამოიღებს შედეგს და ჩვენ აუცილებლად მივიღებთ აღორძინებული, ძლიერი ეკონომიკის სვანეთს, რასაც ღმერთი სიკეთეში მოგვახმარს.

რაც შეეხება მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობას 2022 წელს, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, შევაფასებდი დადებითად.

ამ პერიოდში საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა 17 დადგენილება და 54 განკარგულება. ჩატარებულია საკრებულოს 12 სხდომა.

საკითხების წინასწარი შესწავლის, მომზადების, სწორი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, აგრეთვე მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით შექმნილი კომისიები (5 კომისია) პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათ მოვალეობებს. საკითხების წინასწარ შესწავლის მიზნით ატარებენ შეხვედრებს შესაბამის სტრუქტურებთან და მოსახლეობასთან.

კომისიის თავმჯდომარეებს შორის არიან ახალბედებიც, რომელთა მონდომებაც მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ისინი კიდევ უფრო გაიღრმავებენ ცოდნას და სათანადო გამოცდილების მიღებით, გახდებიან კიდევ უფრო აქტიურები, ჩამოყალიბდებიან შესანიშნავ საჯარო მოხელეებად, თანამდებობის პირებად.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს დეპუტატებს შორის ურთიერთდამოკიდებულება არის კოლეგიალური და სხდომების მსვლელობისას, რიგ საკითხებთან დაკავშირებით არსებული აზრთა სხვადასხვაობის დროს, დეპუტატებს შორის, როგორც მმართველი გუნდის ასევე ოპოზიციის მხრიდან, მიმდინარეობს ჯანსაღი ოპონირება.

საკრებულოზე განხილულ მნიშვნელოვან საკითხებს შორის აღსანიშნავია 2023 წლის ბიუჯეტის მიღება. მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 19, 050, 300 ლარის ოდენობით და მიმართულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებისაკენ.

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ამომრჩევლებისა და მოსახლეობისთვის, მათი ჩართულობის მიზნით, ინფორმაციის მიწოდება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვებისა და აღმასრულებელი რგოლის საქმიანობის შესახებ.

მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების, ღონისძიებების, სამუშაო შეხვედრების, საკრებულოს, ბიუროსა და საკრებულოს სხდომების, ასევე სხვა მნიშვნელოვანი აქტივობების გაშუქება და საზოგადოების სხვადასხვა

ფენის წარმომადგენლებამდე ინფორმაციის მიწოდება ხდება საკრებულოს სოციალური გვერდის ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო“, ოფიციალური

ვებ გვერდის mestia.gov.ge და გაზეთის ,,ლილე“ მეშვეობით.



საანგარიშო პერიოდში ჩემს მიერ განხორციელებული საქმიანობიდან, გარდა მოსახლეობასთან შეხვედრებისა და საკრებულოში საოფისე საქმიანობისა, გამოვყოფდი ისეთ სენსიტიურ თემებს, როგორიცაა:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის ისტორიული ტოპონიმების, ჰიდრონიმების და სხვა სახელების მოკვლევა

2. მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის სხვადასხვა დროს დადგენილი საზღვრების მოკვლევა ისტორიული რუკების და არგუმენტირებული გადმოცემების საფუძველზე.

ევროპელი და რუსი კარტოგრაფების მიერ ისტორიულ წარსულში ჩატარებულმა მოკვლევებმა, ლინგვისტური პრობლემების გამო არასწორად აღქმულმა სიტყვებმა, ენის არაერთგვაროვნებამ ლათინურ, რუსულ ენებთან და ალფავიტთან, ტოპონიმიკა დაამახანჯა. დღემდე შემოგვრჩა არასწორი ფორმით ჩამოყალიბებული, დამახინჯებული სახელები. ჩემი მიზანია ავთენტური ლინგვისტური სახელდებების მოძიება და პირველადი სახით აღდგენა, რაც ძალზედ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია, რომლის დასრულების შემდეგაც საკითხი უნდა განიხილოს საკრებულომ და სათანადოდ მომზადებული წინადადებები წარვადგინოთ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში.

გადაწყვეტილება გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ მიიღება მუნიციპილატეტის სამართლებრივი აქტით და სამთავრობო კომისიის თანხმობით.

დიდი ხანია ვმუშაობთ მუნიციპალიტეტის თემებს და ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის ადმინისტრაციული საზღვრების დადგენის საკითხებზე.

ვინაიდან 2005 წელს თემებთან და მოსახლეობასთან შეუთანხმებლად განხორციელდა საზღვრების გავლების სამუშაოები, რაც გეოგრაფიულ და ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, აუცილებლობას წარმოადგენს აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრა და კორექტირებულ-დაზუსტებული საზღვრების სამართლებრივ აქტებში ჰარმონიზაცია.

ამ ხარვეზების გასწორება მოითხოვს დიდ დროს და არის ძალზედ სენსიტიური საკითხი. პროცესი უნდა იყოს უხმაურო და შედეგიანი. სოფლის რწმუნებულების და საკრებულოს დეპუტატების ჩართულობით, სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრების შედეგად, დღეის მდგომარეობით საქმის დაახლოებით 60 % უკვე შესრულებულია. მომავალი წლისთვის ჩვენ შევძლებთ ბოლომდე დავასრულოთ საქმე.

დასასრულს, მადლობა მინდა გადავუხადო მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებელს, ვინც პატიოსანი შრომით, კერძო თუ საჯარო სექტორში ქმნის ჩვენს მომავალს.

„რაცა ვის რა ბედმან მისცეს“ - ანხორციელებდეს საკუთარი და საერთო წინსვლისთვის უსაყვედუროდ და დაუმადლებლად ჩვენი მოსახლეობისთვის და ჩვენი მომავლის კეთილდღეობისთვის მუხლჩაუხრელ საქმიანობას..

ივასუ ხარიდ!

ხოჩა მაგ ჯეყარხ.

მესტია ერთ-ერთ საუკეთესო ტურისტულ მიმართულებად დასახელდა

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროექტის „Best Tourism Villages by UNWTO“ -ის ერთ-ერთი გამარჯვებული მესტიაა. აღსანიშნავია, რომ მესტია შერჩეულ იქნა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის წევრი 57 ქვეყნის 130-ზე მეტი დანიშნულების ადგილის აპლიკაციას შორის, რაც უდიდეს მიღწევას წარმოადგენს.

„Best Tourism Villages by UNWTO“ -ის პროექტი წარმოადგენს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინიციატივას, რომლის მიხედვითაც, გამარჯვებულის სტატუსი ენიჭება გამორჩეული დანიშნულების ადგილების მქონე ლოკაციებს; მიმართულებას, სადაც სანიმუშოდ ვითარდება სოფლის ტურიზმი, გააჩნია აღიარებული კულტურული და ბუნებრივი რესურსები და ამასთანავე აქტიურად და ეფექტიანად ხდება ადგილობრივი საზოგადოების ძირითად ღირებულებებზე და ცხოვრების წესზე დაფუძნებული ინტერესების და საჭიროებების უზრუნველყოფა. „Best Tourism Villages by UNWTO„-ის ნომინაციაში გამარჯვებულ სოფლებს გააჩნია ტურიზმის მდგრადი განვითარების ნათელი ხედვა, რაც მიმართულია ადგილობრივი საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისკენ.

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, პროექტში გამარჯვებულ მიმართულებას, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს რათა ტურიზმი გახდეს მისი მდგრადი განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა, როგორც ეკონომიკური და სოციალური, ასევე ეკოლოგიური მიმართულებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხდება მისი როგორც სოფლის ტურიზმის განვითარების დონით გამორჩეული დანიშნულების ადგილის ცნობადობის ამაღლება საერთაშორისო ასპარეზზე.

პროექტის ფარგლებში, „Best Tourism Villages by UNWTO„-ის გამარჯვებულ ლოკაციას, ასევე ეძლევა შესაძლებლობა გახდეს სოფლის ტურიზმის განვითარების მიმართულებით წამყვანი დანიშნულების ადგილების გლობალური ქსელის ნაწილი, რაც იძლევა კარგ საშუალებას მის წევრებს შორის მოხდეს საუკეთესო გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

რუსთაველის თეატრში საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის დასკვნითი კონცერტი გაიმართა

შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრის დიდ დარბაზში „ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 2022„-ის დასკვნითი საღამო და ლაურეატების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. საღამო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის აღსაყდრებიდან 45 და დაბადებიდან 90 წლის საიუბილეო თარიღებს მიეძღვნა.

ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო. მინისტრმა მადლობა გადაუხადა ფესტივალის ორგანიზატორებს შთამბეჭდავი და საინტერესო საღამოების მოწყობისთვის, მონაწილეებს კი ნაყოფიერი საქმიანობა უსურვა. თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ ამიერიდან ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი, ნაცვლად ხუთი წლისა, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდება, კულტურის სამინისტრო კი მომავალშიც ამ პროექტის მხარდამჭერი იქნება.

ფესტივალში მონაწილეობდნენ ფოლკლორული ანსამბლები ქედიდან, მესტიიდან, ზუგდიდიდან, ამბროლაურიდან, ქუთაისიდან, თერჯოლიდან, თბილისიდან.

ღონისძიებაზე ხალხური მუსიკის, ზეპირსიტყვიერების, ქორეოგრაფიული და ქართული გალობის ნიმუშები წარმოადგინეს ფესტივალის ლაურეატებმა: ფოლკლორულმა ანსამბლებმა „ელესამ“, „საგალობელმა“, „იამემ“, „ადილეიმ“, ხალხური სიმღერის ანსამბლებმა „ჩელამ“, „შილდამ“, ,,რიჰომ“, მგალობელ-მომღერალთა გუნდმა „დიდგორმა“, ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა „იმერეთმა“, „გურიამ“, „ახალციხემ“, „ფესვებმა“, „თერჯოლამ“, ავტორ-მთქმელებმა გოგუცა ხერგიანმა, ბესო ჭითანავამ, ცოტნე ალბუთაშვილმა, აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის ვეტერანებმა, ბიძინაშვილების საოჯახო ანსამბლმა თელავიდან, გერსამიების საოჯახო ანსამბლმა ქუთაისიდან და სხვ. კონცერტის ბოლოს გაიმართა დაჯილდოების ცერემონია. მონაწილეებს სახელობითი მედლები და სიგელები გადასცეს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი დონაძემ.

„ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 2022“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივით მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ფესტივალის ჟიური საქართველოს ყველა რეგიონს ესტუმრა და 800 მონაწილიდან საუკეთესოები შეარჩია.

კონცერტები და ლაურეატების დაჯილდოება გაიმართა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში, გრიბოედოვის სახელობის თბილისის დრამატულ თეატრში და რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ და მცირე სცენებზე.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში პრესის მუზეუმი გაიხსნა

15 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, პირველად საქართველოში, გაიხსნა პრესის მუზეუმი. ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ქეთევან დუმბაძე და სხვა მიწვეული სტუმრები დაესწრნენ.

მუზეუმი შეიქმნა ეროვნული ბიბლიოთეკის საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის საარქივო ფონდის განყოფილების ბაზაზე. ამ გადაწყვეტილების მიზანია, ფართო საზოგადოებამ გაიცნოს ქართული ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის განვითარების ეტაპები, რის შედეგადაც საქართველოში შეიქმნა პრესა, როგორც უმნიშვნელოვანესი კულტურული მემკვიდრეობა და ჩვენი ქვეყნის ისტორიის განუყოფელი ნაწილი.

საქართველოს პრესის მუზეუმში პირველად იყრის თავს როგორც XIX, ისე XX საუკუნის პერიოდულ გამოცემათა ნიმუშები, რომლებიც ქრონოლოგიურად არის განლაგებული და მნახველს არა მხოლოდ პერიოდიკის, არამედ ეპოქის შესახებაც უქმნის წარმოდგენას.

დამთვალიერებელი მუზეუმში ნახავს ივანე კერესელიძის, გიორგი ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხისა და სხვათა გამოცემებს, ჟურნალებს: „ცისკარს“, „საქართველოს მოამბეს“; გაზეთებს: „ივერიას“, „დროებას“, „ცნობის ფურცელს“, „კვალს“, „გუთნის-დედას“ და სხვ.

მუზეუმის ექსპონატთა შორის არის პირველი რესპუბლიკის პერიოდისა და საბჭოთა ეპოქის მნიშვნელოვანი გამოცემებიც. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია, როგორც ვიზუალურად, ისე შინაარსობრივად გამორჩეული ეგზემპლარები. მუზეუმში პერიოდული გამოცემების შენახვისა და მოვლისთვის აუცილებელი ყველა პირობაა შექმნილი.

იმედინიუსი

STEM/STEAM განათლება

თანამედროვე მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემა ერთხმად თანხმდება,რომ STEM/STEAM განათლება არის შესაძლებლობა ახალგაზრდებისთვის ტექნოლოგიების სამყაროში ორიენტირებისა და ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებისა,რომელიც მოამზადებს ცხოვრებისული გამოწვევებისათვის.

ბოლო წლებია, საქართველოს სასკოლო საზოგადოება აქტიურად ცდილობს სასკოლო კურიკულუმში შეიტანოს და დანერგოს STEM/STEAM განათლება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის ფარის საჯარო სკოლა,უკვე მეორე წელია ჩართულია STEM/STEAM/STREAM პროექტიების დანერგვის პროცესში. 11-12 დეკემბერს, ფარის საჯარო სკოლის მოსწავლები მონაწილეობას იღებდნენ STEM მოსწავლეთა კონფერენციაზე,რომელიც აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის N42 საჯარო სკოლის, ალექსანდრე ქართველის ასოციაციის, საქართველოს უნივერსიტეტისა და, STEM ასოციაციის თანამშრომლობით ჩატარდა. კონფერენცია ორდღიანი იყო,მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ უახლეს მეცნიერულ მიღწევებს, მოესმინათ სალექციო კურსები თემებზე: „ჩაკრულო და NASA„-რამაზ ბლუაშვილი „საერთაშორისო და ეროვნული STEM კონკურსები“ - ანა კინწურაშვილი „ალექსანდრე ქართველის ცხოვრების გზა„- რიჩარდ რუბინი, ალექსანდრე ქართველის ფონდის პრეზიდენტი. „ცერნის პროექტები“ - ნუგზარ მოსულიშვილი „კვანტური ტელეპორტაცია“ — ირაკლი ნოსელიძე კონფერენციის მეორე დღე დაეთმო მონაწილე სკოლების სასტენდო გამოფენებს,სკოლის STEM კლუბებმა წარადგინეს მათ მიერ შექმნილი STEM პროექტები. მოსწავლეთა კონფერენცია დატვირთული იყო სასწავლო ვიზიტებით.მონაწილეები ესტუმრნენ ალექსანდრე ქართველის სასწავლო ცენტრს,მათ ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ ალექსანდრე ქართველიშვილის უნიკალურ პროექტებს და მიეღოთ ინფორმაცია ამერიკულ ავიაციაზე,რომელის განვითარებაში დიდი წვლილი, სწორედ ალექსანდრე ქართველიშვილს მიუძღვის. ექსპერიმენტარიუმს და ჰოლიზეუმს. 10 თვეა, რაც ფარის საჯარო სკოლაში მოქმედებს ხელოვნური ინტელექტის კლუბი „ROBOSPACE“, ხელმძღვანელი, ეკა წულუკიძე. კლუბი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაბლაბის პროექტის „ხელოვნური ინტელექტის კლუბები სკოლებში“ ფარგლებში შეიქმნა,რომელის ფინანსური მხარდამჭერი იყო ამერიკის საელჩო. პროექტის ფარგლებში,შეიქმნა სასწავლო კურიკულუმი,რომელიც კლუბის მოსწავლეებს საშუალებას აძლევდა შეესწავლათ ხელოვნური ინტელექტის რაობა, თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე დაყრდნობით გაეცნოთ ალგორითმი და ალგორითმის მუშობის პრონციპები. სასწავლო მასალის მეორე ნაწილი ეთმობოდა ელექტრონული კომპონენტების შესწავლას და რობოტების აწყობას. სკოლას პროექტის ორგანიზატორებისგან გადაეცა 3 ცალი 4WD SMART ROBOT CAR ტიპის მოწყობილობა, რომელიც კლუბის წევრებმა ააწყვეს და დააპროგრამეს. 26 დეკემბერს, ქ.თბილისში,ახალ სპორტის სასახლეში რობოტების სასკოლო შეჯიბრება გაიმართა, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან STEM სასკოლო გუნდები მონაწილეობდნენ. შეჯიბრება 3 კატეგორიაში მიმდინარეობდა. პირველი კატეგორია მოიცავდა რობოტების შეჯიბრს შავ ხაზზე. რობოტებს მცირე დროში, უშეცდომოდ უნდა მიეღწიათ ფინიშამდე. მეორე კატეგორია ზიგზაგის ტიპის შავ ხაზზე უშეცდომო და სწრაფ მოძრაობას მოიაზრებდა. მესამე კატეგორია ლაბირინთში გზის უშეცდომოდ და სწრაფად გაკვლევას მოიაზრებდა. ფარის საჯარო სკოლა 1 გუნ-

დით იღებდა მონაწილეობას, რობოტმა „ROBOSPACE-მ“ პირველი კატეგორიის ნახევრფინალურ ტრუში შეძლო ასპარეზობის მიღება,რაც ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი იყო. პროექტის ორგანიზატორების მხრიდან ყველა მონაწილე დაჯილდოვდა სხვადასხვა სასწავლო პროგრამებით.

ეკატერინე წულუკიძე

ახალგაზრდები ნათელი მომავლისთვის

ძვირფასო მკითხველებო, გადავწყვიტეთ, რომ გაზეთის ,,ლილე" ყოველი ნომრის ერთი გვერდი დავუთმოთ თემას ,,ახალგაზრდები ნათელი მომავლისთვის" და გაგაცნოთ ჩვენი კუთხის წარმატებული და მიზანდასახული ახალგაზრდები, რომლებმაც დიდი შრომისა და განათლების მიღების შედეგად მიაღწიეს დასახულ მიზნებს და ყოველდღიურ რეჟიმში აგრძელებენ შრომას თვითგანვითარებისათვის

მოსახლეობას ვთხოვთ ყველა თემიდან მოგვაწოდონ ინფორმაცია მიზანდასახული ახალგაზრდების შესახებ, რათა გავაცნოთ ისინი ფართო საზოგადოებას და ამით ერთგვარი მოტივაცია მივცეთ ყველას თვითგანვითარებისაკენ.

***

გაიცანით 27 წლის წარმატებული ახალგაზრდა მესტიიდან, მარიამ ჯაფარიძე.

მარიამმა 2012 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა მესტიის N1 საჯარო სკოლა. ჯერ კიდევ მოსწავლეობაში, სწავლის პარალელურად, აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში, მათ შორის ქალბატონ ციური გაბლიანის უშუალო ხელმძღვანელობით, გახდა მრავალი პროექტის მონაწილე და გამარჯვებული. სხვადასხვა სასკოლო ოლიმპიადების ფინალური ტურების მონაწილე, Big Wild Read-ის გამარჯვებული, საუკეთესო თარგმანი ინგლისურიდან ქართულში და ა.შ.

თავისუფალ დროს უმეტესად ატარებდა წიგნების კითხვაში, კითხვა მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილია დღემდე.

ვინაიდან ძალიან უყვარდა ტექნიკური საგნები, მისაღებ ეროვნულ გამოდებზეც ჩააბარა 5 საგანი (3 სავალდებულო და ქიმია-მათემატიკა) და ყველა საგანში მოიპოვა უმაღლესი ქულა.

დაუღალავმა შრომამ, უამრავმა გათენებულმა ღამემ და აქ, მესტიაში მიღებულმა ცოდნამ უშედეგოდ არ ჩაიარა და მისი ოცნება ახდა- მარიამი 2013 წელს 100 %-იანი დაფინანსებით ჩარიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ძირითადი მიმართულება: პოლიტოლოგია. ინგლისურ ენაში მიღებული მაღალი ქულის გამო, მოხვდა ინგლისური ენის უმაღლესი დონის (C1) ჯგუფში.

მაღალი აკადემიური მოსწრების გამო იყო თსუ-ს სტიპენდიანტი, უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა თვითმართველობის წევრი და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობაში.

გავლილი აქვს სპეციალური კურსი -სპეციალური/პროფესიული ინგლისური ენა პოლიტოლოგებისთვის, ინგლისურ ენაზე.

2014-2015 წლებში ბრიტანეთის საბჭოში (British Council Georgia) გაიარა ინგლისური ენის კურსი და უმაღლესი ქულით ჩააბარა IELTS გამოცდა.

2016 წელს წითელ დიპლომზე დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2017 წელს ისევ 100 %-იანი დაფინანსებით ჩააბარა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამაზე (შიდა საუნივერსიტეტო გამოცდაზე 250 მსურველიდან მოხვდა პირველ ხუთეულში), სადაც ყველა საგნის ლიტერატურას-სასემინარო მასალას სწავლობდნენ ინგლისურ ენაზე.

სწავლის პარალელურად, 2017 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში. ასევე, პარალელურად იყო ინგლისური ენის კერძო რეპეტიტორი. მისი მოსწავლეები უმაღლესი ქულებით ტოლს არ უდებდნენ არავის და გარკვეული პერიოდი მუშაობდა English Royal Center-ში ინგლისური ენის პედაგოგად. ამას გარდა, 2017 წლიდან 2021 წლამდე მუშაობდა ფრილანსერად (Freelancer) დამატებით შემდეგ პლატფორმაზე: storyhunter.com სხვადასხვა საერთაშორისო კომპანიისათვის. სამუშაო ძირითადად ითვალისწინებდა თარგმნას ქართულიდან ინგლისურში, მასალის დამუშავებასა და მომზადებას სათანადო ფორმით.

თბილისის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმში მუშაობის პერიოდში, მონაწილეობა მიიღო პროექტში:

„XIX საუკუნის თბილისის ისტორიული არეალებისა და ნაგებობების 3D რეკონსტრუქცია".

2019 წლის თებერვალში, როდესაც უკვე საქართველოშიც გამოჩნდა კორონა ვირუსი, პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო, ყველას მოუწია იზოლაცია, გაჩნდა თავისუფალი დრო და მარიამმა აქტიურად დაიწყო საერთაშორისო ონლაინ კურსების გავლა, როგორებიცაა:

1. Advanced writing
2. Developing Digital Artefacts for learning
3. Learning How to learn –Powerful mental tools to help you to master tough subjects.
4. Learning Technologies Foundations and Applications
5. Coaching Practices
6. Professional Academic English
7. Psychology –Introduction
8. Interviewing and Resume writing in English

მონაწილეობა მიიღო ტრენინგებში:

1. ინკლუზიური განათლების თეორიული და პრაქტიკული კურსი- „ტრენინგების ცენტრი ინოვაციური განათლების სახლი IETC„
2. ოფისმენეჯმენტის კურსი, HR მენეჯმენტი - ტრენინგ ცენტრი NB
3. ციფრული მარკეტინგი და სოციალური მედიის მართვის კურსი - ბიზნეს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების აკადემია
4. საოფისე კომპიუტერული კურსები -ბიზნეს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების აკადემია
5. სასტუმროს მართვისა და ადმინისტრირების კურსი-VIP Intellect Group
6. პიროვნული ზრდა-განვითარება-ჰელფინგ ჰენდის (Helping hand) მხარდაჭერით-მოხალისეთა საკვირაო კლიბი
7. რატომ ვართ ჯერ კიდევ საბჭოთა სახელმიფო-თაობათა გზამკვლევი (ონლაინ)
8. დროის მენეჯმენტი-ანმა/ANMA
9. როგორ გავხდე ახალგაზრდა ევროპელი ელჩი?-ჯევროლუცია/Geurolution
10. ადგილობრივი თვითმმართველობის აქტუალური საკითხები-ემსახურე სამშობლოს/Serve the Homeland

პანდემიის პერიოდში ონლაინ სწავლებისა და თბილისის ისტორიის მუზეუმის არფუნქციონირების გამო, მარიამი, ისევე როგორც ბევრი სხვა, დაბრუნდა მესტიაში, სადაც ზემოაღნიშნულ კურსებთან ერთად, დაიწყო ონლაინ მუშაობა მსოფლიოს უმსხვილესი, წამყვანი ბრენდების პარტნიორი ბიზნეს პროცესების აუთსორთინგში-კომპანია მეიჯერელ საქართველოში.

2021 წელს წარმატებით ჩააბარა მასწავლებელთა კომპეტენციის დადასტურების გამოცდა ინგლისურ ენაში.

შეკითხვებზე, თუ როგორ მოხდა მისი მუშაობის დაწყება სვანეთის ისტორიულ - ეთნოგრაფიულ მუზეუმში და რა რჩევას მისცემდა ახალგაზრდებს, მარიამმა გვიპასუხა :

,, 2022 წლის იანვარში მესტიაში ერთი ჩვეული შვებულების გატარების დროს, შევიტყვე, რომ სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის დირექტორად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, არქეოლოგიის საბაკალავრო მიმართულების ხელმძღვანელი, სვანეთის სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელი, პროფესორი ზვიად კვიციანი დაინიშნა. გამუდმებით მესმოდა რა ძალზე შთამბეჭდავი და სასარგებლო იდეებისა თუ დაგეგმილი ღონისძიებების/აქტივობების შესახებ, მოხდა ისე, რომ 2022 წლის თებერვალში მეც შევუერთდი სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის გუნდს და მუშაობა დავიწყე მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის პოზიციაზე , რამდენიმე თვეში კი გავხდი ცენტრალური აპარატის უფროსი.

გულახდილად, რომ გითხრათ, ჩემს ცნობიერ გონებაში არასდროს წარმომედგინა, არც დაგეგმილი მქონია სვანეთის მუზეუმში რაიმე პოზიციაზე მუშაობა რიგი მიზეზებისდა გამო, თუმცა, მიუხედავად მოვლენების სპონტანურად განვითარებისა, მუზეუმის ახალმა დირექტორმა შექმნა ისეთი სამუშაო გარემო, რომ ჩემი მოტივაცია გაასმაგდა და დღეს, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მივიღე სწორი გადაწყვეტილება, თუნდაც იმიტომ, რომ სვანეთის მუზეუმის დირექტორის, სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელის, პროფ. ზვიად კვიციანის უშუალო ძალისხმევითა და თავდაუზოგავი შრომით, მეც ჩემი მცირედი წვლილი მაინც შევიტანე მუზეუმის განვითარებასა თუ წარმატებაში, მარტო რად ღირს ის დიდებული შესაძლებლობა, რასაც ჰქვია საკუთარი თვალით იხილო თუ როგორ ხდები იმ დიდი საქმის ნაწილი, რასაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვა/გადარჩენა ჰქვია, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო ფუნქციის განვითარების, გააქტიურების პროცესი, ასევე, დავესწარი ისეთ საინტერესო სამეცნიერო კონფერენციებსა თუ კონგრესს, რომელმაც უმალ დასაბამი ჰპოვა სვანეთის მუზეუმის კედლებში ბატონი ზვიადის წყალობით.

სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმში მუშაობის მცირე პერიოდის მიუხედავად, არც ერთი დღეს არ ჩაუვლია ღირსშანიშნავი საქმეებისა თუ პროექტების გარეშე, მათი ჩამოთვლა ძალიან დიდ დროს მოითხოვს, რადგან ვრცელია ჩამონათვალი, თუმცაღა, აუცილებლად აღვნიშნავ 2022 წლის სექტმებრის თვეში განხორიელებულ საერთაშორისო სამეცნიერო ექსპედიციას -„კულტურული ურთიერთქმედებები შუა საუკუნეების სამხრეთავკასიის რეგიონში: ისტორიოგრაფიული და ხელოვნებათმცოდნეობითი პერსპექტივები", რომელშიც მეც ვიღებდი მონაწილეობას სვანეთს ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის სხვა თანამშრომლებთან- (ტაძრების მცველები) ზონის კურატორის თანაშემწეებთან ერთად. სამეცნიერო ექსპედიციის შესწავლის ობიექტები გახლდათ სვანეთის მუზეუმისა და მის დაქვემდებარებაში არსებულ ეკლესია-მონასტრებში განთავსებული სიწმინდეები, ექსპონატები, ხელნაწერები და ა.შ.

პროექტში ჩართული იყო კარიერის სხვადასხვა ეტაპზე მყოფი არაერთი მეცნიერი (გიორგი ჩუბინაშვილის ცენტრი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გერმანია, ბრიტანეთი, იტალია) მათ შორის დოქტორანტები და პოსდოკები. პროექტის შედეგად ექსპედიციამ მოიარა 33 ეკლესია, თითოეულ ძეგლთან დაკავშირებით ეწყობოდა მინი კონფერენცია და განიხილებოდა სადავო საკითხები კონკრეტული თემის ირგვლივ. ასევე, ამავე ექსპედიციის ფარგლებში, გაცხოველებული სამეცნიერო საქმიანობა მიმდინარეობდა სვანეთის მუზეუმში, მის ლაბორტორიაში და ასევე, საექსპოზიციო დარბაზებში.

ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებასა და წარმატებაში არსებითად დიდი როლი ითამაშა დაუღალავმა შრომამ, წარმატებისკენ დაჟინებულმა სწრაფვამ, ჩემმა შესანიშნავმა ოჯახმა, პროფესიონალმა მასწავლებლებმა და ერთგულმა მეგობრებმა.

რა თქმა უნდა, არაფერი მარტივი არ ყოფილა, თუმცაღა, მადლიერი ვარ ყველა იმ სირთულის თუ დაბრკოლების, რაც თან სდევდა ჩემს ცხოვრებას. ასევე, მადლიერი ვარ ყველა იმ ადამიანისა, რომელმაც გული მატკინა და ჩემი ემოციებით ითამაშა. მადლიერი ვარ ყველა ჩარტყმული ლახვრისაც, რადგან ეს ყოველივე გვაძლიერებს, „გვაწრთობს ვით რკინას ცეცხლი ხურვებით" (იოსიფ ბროდსკი) , ვინაიდან განსაცდელთა სიმრავლე უფრო მეტად გვაბრძენებს.

მსურს ყველა იმ ახალგაზრდას რომელიც ახლა იწყებს ცხოვრების გამოწვევებთან შეჭიდებას, ვუთხრა, რომ უპირველეს ყოვლისა იყავით მიზანდასახულები, ამბიციურები, თავდაჯერებულები, არასდროს არ შეგეშინდეთ საკუთარი აზრის გამოხატვის, იმუშავეთ საკუთარ თავზე, აქციეთ სისუსტეები თქვენს სიძლიერედ და მერწმუნეთ, საბოლოოდ მაინც მიაღწევთ საწადელს.

არასდროს არ შეუშინდეთ ცხოვრებისეულ გამოწვევებსა თუ სიძნელეებს, ცხოვრება ია-ვარდით როდია მოფენილი, თუმცა თავდაუზოგავი შრომით მოპოვებული მუდამ საამურია. გწამდეთ ყოველთვის -არაფერია შეუძლებელი, რომ ადამიანს არ ხელეწიფებოდეს, მთვარია მოტივაცია, საკუთარ თავზე მუშაობა და ისევ განვმეორდები, შრომა, შრომა და ისევ შრომა. იყავით პოზიტურები და რაც ჩემთვის უმნიშვნელოვანესია-მებრძოლები, არსდროს არ დანებდეთ, არ დაყაროთ ფარხმალი მარტივად, ეძიეთ გამოსავლის გზები და თავად დარწმუნდებით, რომ თქვენ სწორ გზას ადგახართ".

***

გაიცანით 28 წლის წარმატებული ახალგაზრდა ლანა ლუხუტაშვილი

2011 წელს მან წარმატებით დაამთავრა მულახის საჯარო სკოლა. იყო შესანიშნავი მოსწავლე. ენებისადმი სიყვარული სკოლის ასაკიდანვე ეტყობოდა. ბევრი არ უფიქრია, როცა ჩაბარება გადაწყვიტა და პირველივე წელს ინგლისურ ფილოლოგიაზე ჩაირიცხა 100% გრანტით

სწავლის დამთავრების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა უამრავი შემოთავაზება ქალაქში დასაქმებისა, მან მაინც არჩია მშობლიურ მხარეს დაბრუნებოდა და დღემდე აგრძელებს აქ საქმიანობას, როგორც სკოლაში, ასევე კერძოდ, არის რეპეტიტორი, რომელსაც ამჟამად 40 მოსწავლე ჰყავს.

ლანა უზომოდ არის შეყვარებული მის პროფესიაზე და ამბობს:

„ბედნიერი ვარ, რომ ვარ იქ, სადაც ვარ.
რომ ვარ ისე, როგორც ვარ.

რომ გარემო, სადაც ვატარებ დღის უმეტეს ნაწილს, სავსეა პატივისცემით, პროფესიონალიზმით, ადამიანური ურთიერთობებითა და დისციპლინით.

რომ დილას აქ მოსვლა მიხარია, რომ ზუსტად ვიცი საკუთარი უფლებები და როგორ ვცე პატივი და გაუფრთხილდე სხვისას, რომ დროსა და შრომას აქვს ადეკვატური ფასი და ჩემი საქმით, უამრავი ადამიანისთვის მომაქვს სიკეთე.

ერთი დიდი, ენით აღუწერელი ბედნიერებაა, როცა ხედავ მოსწავლეს შენი დანახვა უხარია და აბედნიერებს"

ანამ 2015 წელს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, სადაც მიენიჭა ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაცია.

2015 წელს ჩააბარა პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდა ინგლისურ ენაში 10 კრედიტზე.

2015-2016 წლებში სწავლობდა თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში 2016-2017 წ-ში ჩააბარა კიევის საერთაშორისო უნივერსიტეტში ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე.

2018 წელს ჩაბარა ინგლისური ენის გამოცდები: Aptis, Delta, C1, C2 .

2019 წელს - ჩააბარა ახალი საქართველოს უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე და 2022 წელს მიენიჭა ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხი.

2019 წელს Westminster University-ში გაიარა TESOL-Teachers of English to speakers of other languages და აიღო A -უმაღლესი შეფასება.

2021 წელს ჩააბარა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე 100% გრანტით.

2021 წელს ჩააბარა საქართველოს უნივერსიტეტში ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ხორციელდება ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტში.

2018 წლიდან დღემდე მუშაობს მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ მულახის საჯარო სკოლაში ინგლისური ენის პედაგოგად. ამავე სკოლაში უცხო ენათა კათედრის ხელმძღვანელად.

2021 წლიდან დღემდე ასევე მუშაობს მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ იფარის საჯარო სკოლაში ინგლისური ენის პედაგოგად.

2022 წლის ივლისში ლანა იმყოფებოდა ხათუნა რაზმაძის მასტერკლასზე - სწავლა სწავლების ინოვაციური მეთოდები, ქალაქ სტამბულში.

2022-წლის ნოემბერში ლანა იმყოფებოდა იტალიაში,სასწავლო ვიზიტით-მარინა ჯინჭარაძის მასტერკლასზე- Leadership and effective communication.

ქალბატონი ლანა არის ინკლუზიური განათლების ასოციაციის ღირსეული წევრი, იგი არაერთ ტრენინგსა და სემინარს ესწრება ამ მიმართულებით ყოველთვიურად.

ლანა ასევე წევრია განათლების ელჩი 2022"-ის და აქტიურად არის ჩართული თითოეულ ტრენინგში

ის არის ადამიანი, რომელიც ყიველდღიურად იღრმავებს ცოდნას უამრავი შრომისა და ღამისთევის ფასად, შემდეგ კი მის ცოდნას უშურველად გადასცემს საყვარელ მოსწავლეებს.

სამომავლოდ აპირებს სწავლის დოქტორანტურაზე გაგრძელებას ისევ ინგლისური ფილოლოგიის განხრით.

ბავშვობიდან ვოცნებობდი ლექტორობაზე, ვფიქრობ ნელნელა ვუახლოვდები ჩემს მიზანს, რომელიც არც თუ ისე შორსაა"- ამბობს ლანა.

წარმატებები კიდევ და კიდევ.

გაზეთი ,,ლილე"
ირმა ჯაჭვლიანი



ანა მარგიანი

ანასტასია ჩართოლანი



ანი ჩართოლანი, მესტია



ანი ჩართოლანი, მესტია

კალიგრაფია ლამაზად და მკაფიოდ წერის ხელოვნებაა. ის შემოქმედებითი პროცესია, რომელსაც თავისი სული და ძლიერი ენერგეტიკა აქვს.

მესტიის პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ქალბატონი სვეტლანა მჭედლიანი არაერთ საინტერესო პროექტს ხელმძღვანელობს სკოლაში. წარმოგიდგენთ ქალბატონ სვეტლანას ინიციატივით კალიგრაფიის კონკურსში ჩართულ მოსწავლეთა ნამუშევრებს.



ეკა ფილფანი, მესტია



მარიამ გაბრიჭიძე, ცხუმარი



საბა გუგუსიანი



სვეტლანა მჭედლიანი



უკვე 40 დღე გავიდა **ДАВИТ (სერგო) ХВИБЛИАНИს** გარდაცვალებიდან.

მისი გარდაცვალება მძიმე დანაკლისი იყო ოჯახისთვის, ახლობლებისთვის, საზოგადოებისათვის, მთელი მესტიისთვის, რეგიონისთვის.

სერგო ხვიბლიანი დაიბადა მესტიის რაიონის სოფელ იელიში 1945 წელს, ოჯახის შექმნის შემდეგ დასახლდა მესტიაში.

წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მესტიის სარემონტო-საპროექტო კანტორას. იყო ხაიშიდან უშგულამდე უამრავი სამშენებლო პროექტის ავტორი და შემსრულებელი, ინჟინერი, ასევე მესტიის კომუნალური სამსახურის უფროსის მოადგილე.

სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა მესტიის გარე განათების სამსახურის უფროსის მოადგილედ.

იყო სახელოვანი ოჯახის შვილი, საკუთარ კუთხეზე უზომოდ შეყვარებული. მისი დამსახურებით საკუთარ სოფელში სამანქანო გზაც საკუთარი სახსრებით გაუყვანია. სიკეთის მთესველი, სიკეთის მქადაგებელი, ჭკუის საკითხავი პიროვნება, უამრავი საქმის მედიატორი, რეგიონის თვალსაჩინო და კოლორიტი კაცი, უბოროტო, ალალმართალი ადამიანი.

უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი, სადაც მართალნი განისვენებენ!

დამფუძნებელი:
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი 1.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

ირმა ჯაჭვლიანი, ნინო ნაკანი

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გამომცემლობა კოლორში"

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45
ირმა ჯაჭვლიანი
ელ. ფოსტა:
Irma–ushba@yahoo. com